

# ახალი ახალბერი

გრიგოლ როგაძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის შურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის მე-4 დონის სტუდენტთა სასწავლო გაზეთი

№ 1  
იანვარი, 2014

## ჩვენი გაზეთი ჩვენი „ობოობას“ ნაცვლად

პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებით სახელოსნო შურნალისტიკის ფაკულტეტის ბევრი სტუდენტისთვის გამხდარა საოცნებო. მის სახელოსნოში მოხვედრა ადვილი არ არის. გვიხარია და გვეამაყება, რომ რჩეულთა რიგებში ჩვენც აღმოვჩნდით. რით გამოირჩევა სახელოსნო და რით ვამაყობთ? ამ სახელოსნოში პროფესორ პაატა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით და აღმამატერის სტუდენტთა ძალეებით შექმნილი შურნალი „ობოობა“ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, სრულიად ინოვაციური და არასტანდარტული პროდუქტია ქართულ შურნალისტურ სივრცეში.

პაატა ნაცვლიშვილის სახელოსნოში გავლილ პრაქტიკულ კურსში შეფასებები კი დავიმსახურეთ, მაგრამ არასაკმარისი გულმოდგინებისა და, ცოტა არ იყოს, ზერელე დამოკიდებულების გამო, ჩვენი ჯგუფის მიერ მომზადებული მასალები შურნალს ვერ გასწვდა, რამაც ძალიან დაგვწყვიტა გული. თუმცა ამით ჩვენს ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რა თქმა უნდა, არაფერი მოაკლდა, პირიქით – ვისწავლეთ საჭირო მასალების მოძიება-დამუშავება, შევიძინეთ მეტად საჭირო პრაქტიკული გამოცდილება. როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცები არცთუ ურიგოდ გამოგვივიდა, რაკი ბატონმა პაატა ნაცვლიშვილმა „საკომპენსაციოდ“ გაზეთის გამოშვება შემოგვთავაზა.

როცა ჩვენ ამ მასალებზე ვმუშაობდით, მესამეკურსელები ვიყავით. ახლა კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი საჭირო მასალებზე და ჩვენს ნაწერებს და საგაზეთო ფორმატს მოვარგეთ. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა იმაზე, რომ ჩვენს მიერ შეგროვილი და „ობოობასთვის“ შევსებული დიდიხალი საილუსტრაციო მასალა დაუბეჭდავი დარჩა და რაც იბეჭდება, ისიც – მხოლოდ შავ-თეთრად.

რაც შეეხება თემატიკას, ჩვენ ვწერთ იმაზე, რაც ყველაზე ძალიან გვიყვარს, ყველაზე მეტად ვიცით, რაც ყველაზე მეტად გვეძვირფასება და რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოგვივიდა.

ხოლო თუ როგორ გამოგვივიდა, საბოლოოდ ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს. მკითხველის შეფასება ჩვენთვის ერთადერთი შეფასებაა, რადგან ჩვენი ამ ნამუშევრის ავტორები საგამოცდო უწყისში არ აისახება.

გაზეთის ავტორთა სახელით,  
თამარ ელისაშვილი

გაზეთზე მუშაობდნენ გრიგოლ როგაძის სახელოსნოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის შურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის მე-4 დონის სტუდენტები: ნინო აზიკური, სალომე აფხაზაშვილი, ლალი ბიტაბაძე, ნინო გოციროძე, თამარ ელისაშვილი (რედაქტორი), ქეთევან ლავილაძე, სალომე პაპიძე, გვანცა სამხარაძე.

ხელმძღვანელი – პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი.

დაკაბადონდა შპს „პეტტიპი“. დაიბეჭდა შპს „გაზეთ საქართველოს მაცნეში“.

ტირაჟი 300 ცალი.



ნინო აზიკური



სალომე აფხაზაშვილი



ლალი ბიტაბაძე



ნინო გოციროძე



თამარ ელისაშვილი



ქეთევან ლავილაძე



სალომე პაპიძე



გვანცა სამხარაძე

**ნინო აზიკური:**  
დავიბადე 1992 წლის 1 ივნისს. სკოლა დავამთავრე თუშეთში. მყავს მშობლები და ორი და.

ვარ ჩვეულებრივი ადამიანი ამ არაჩვეულებრივ სამყაროში. მხიარული, ცნობისმოყვარე, მეგობრული და მეოცნებე, რომელიც საკუთარი ოცნებების რეალიზებაში გადმოტანას ცდილობს. მიყვარს ყველაფერი ლამაზი, კარგი და განსხვავებული. მაინტერესებს ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო ხდება. მიყვარს კლასიკური მუსიკა და, განსაკუთრებით, ჩაიკოვსკის მემუიდი სიმფონია. მიყვარს წიგნებიც... გამოვარჩევიდი ემილ ზოლას ვარ გურმანი. ძალიან მიყვარს ხინკალი და ლუდი.

ვარ მეტისმეტად ემოციური. მეშინია ომის და საყვარელი ადამიანის დაკარგვის. ბედნიერი ვარ მთაში და ჩემს საყვარელ ხალხში. მაღიზიანებენ „ძერსკი“ და ბოროტი ადამიანები. განსაკუთრებული რეაქცია მაქვს უსამართლობაზე და ვაპროტესტებ ყველაფერს, რაც არ მომწონს.

ვოცნებობ, გავხდე დამოუკიდებელი და მქონდეს ჩემი ცხოვრება – მშვიდი, ლამაზი და ბედნიერი. ვცდილობ, ვიყო თავისუფალი და ვიპოვო ჩემი თავი; გავიგო, ვინ ვარ და რისთვის ვარ მოსული ამ სამყაროში.

**სალომე აფხაზაშვილი:**  
დავიბადე და გავიზარდე საქართველოში. ვარ ოპტიმისტი და უზომოდ შეყვარებული ჩემს უბანზე. ჰობი: ფოტოების თვალთვლება და საკანცელარო ნივთების შეგროვება. ვერ ვიტან ტყუილს. ვარ ცოტა ნუნუნა, მაგრამ მხიარული. ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი და მეგობრები, ასევე ცეკვა, სიმღერა და მუსიკა. საყვარელი წიგნი – „ჯეინ ეარი“. როცა კარგ განწყობაზე ვარ, მიყვარს ჩემთვის საინტერესო სხვადასხვა რამის გაკეთება. მაგალითად, ჩანანერების კეთება. როცა ცუდ განწყობაზე ვარ, ცოტა უხეში ვხდები. მეშინია მოულოდნელი აფეთქების ხმისა და ლამურების. ძალიან მიყვარს ყავა და „ოსტრი“ <3 13 იანვარს გავხდი 22 წლის, მაგრამ მგონია, რომ კვლავ 18 წლის ვარ.

**ლალი (ლაკო) ბიტაბაძე:**  
ადამიანი, რომელსაც ოჯახის, მეგობრებისა და მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია :)

ადამიანი, რომელიც აფასებს ერთგულ, გულახდილ და შრომისმოყვარე ხალხს :)

ადამიანი, რომელიც აგრესიული ხდება, როცა ატყუებენ :@

ადამიანი, რომელიც ლიზინდება, როცა ხედავს, რომ ვინმეს დასცილიან და ჩაგრავენ :!

ადამიანი, რომელიც გიყვდება ცხოველებზე, ზღვასა და ფიქრზე :)

ადამიანი, რომელიც თბილია ნელინადის ნებისმიერ დროს :)

ადამიანი, რომელიც იბნევა უხერხულ სიტუაციებში :|

ადამიანი, რომელსაც სწყინს ადვილად და პატივობს როტულად :|

ადამიანი, რომელიც ვერ იტანს შურიან ხალხს და თელის, რომ შური შურია და არ არსებობს თეთრი და შავი შური :|)

ადამიანი, რომელსაც არ სჯერა იდეალური ადამიანების არსებობის და ეთანხმება ერის მარია რემარკს: „ვინც სრულყოფილია, მისი ადგილი მუზეუმშია“ :)

ადამიანი, რომელსაც ეშინია სიბერის და სახეზე ნაოჭის : (

ადამიანი, რომელიც არასდროს კარგავს იმედს :)

ადამიანი, რომელიც რომანტიკოსია, თუმცა ვერ იტანს 14 თებერვალს ერთი ვარდით ხელში მოსიერზე წყვილებს :|)

ადამიანი, რომელსაც არასდროს მობეზრდება ერის მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღის“ კითხვა :)

ადამიანი, რომელიც ოცნებობს, რომ არასდროს ნახოს ქუჩაში ხელგანვდილი „მათხოვარი“ :||

**ნინო (ნინა) გოციროძე:**  
დავიბადე თბილისში. ვარ ბედნიერი, რადგან მყავს მშობლები, და-ძმა და პატარა იტალიელი დისშვილი.

როგორც ყველა ადამიანი, უფალმა მეც დამაჯილდოვა ადგილებით და უარყოფითი თვისებებით. ვარ კომუნიკაბელური და ძალიან ერთგული. აქედან გამომდინარე, მეგობრების ნაკლებობას არ განვიცდი. ვარ მრავალფეროვანი ადამიანი, დაინტერესებული ვარ ყველაფერში. დავდივარ ქართულ ცეკვებზე და ჩოგბურთზე. მიყვარს ცურვა, ფილმების ყურება, სხვადასხვა ადგილის მუსიკის მოსმენა. ბოლო დროს ძალიან შემეყვარდა უცხოური ლიტერატურა. მასხათობის მიზანდასახულობა და ვარ ძალიან ემოციური ადამიანი.

უი, მთავარი რაც გამოძრწა, ძალიან მიყვარს მოგზაურობა და მინდა, რომ

უახლოეს მომავალში თუ არა, სიბერეში მაინც მოვიხსნა იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და... მარსი :D

**თამარ ელისაშვილი:**

ხანდახან – თამო, თამუშკი, თამიკ. მყავს დედა, მამა, და და ძმა. სკოლის გარდა დამთავრებული მაქვს ევგენი მიქელაძის სახელობის II ცენტრალური საშუალო სასწავლებელი. მიყვარს ფორტეპიანოზე დაკრა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახლში მარტო და ცუდ გუნებაზე ვარ. თავისუფალ დროს ვუყურებ ამერიკულ სერიალებს. მიყვარს ფეხით სიარული, ბუნებაში ყოფნა და სუფთა ჰაერი. არ მიყვარს სიცხე, მირჩვენია გრილოდეს, რადგან თავს ამ დროს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. მომწონს კინოთეატრში სიარული, თითქმის ყველა ახალგაზოგულ ფილმზე ვარ ნამყოფი. ვიყვარებ ნაყინზე, შოკოლადზე, ტორტზე და საერთოდ ტკბილეულზე. ვოცნებობ, ოდესმე მქონდეს შოკოლადის შარდენი. მიყვარს ცხოველები და ჩემი ბავჯა თუთიყუში კემა, რომელსაც უყვარს ლაპარაკი და წიგნებზე ბოდილი.

**ქეთი ლავილაძე:**

დავიბადე 1991 წლის 28 მარტს, აფხაზეთის ერთ ლამაზ კუთხეში. თითქმის ჩემი დაბადებისთანავე დაიწყო ის ავადსახსენებელი ომი და 1993 წელს საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილი გავხდი. დღემდე მაღიზიანებს ეს სიტყვა – „ლტოლვილი“. ეს სოციალური სტატუსი ჩემთვის ძალიან მტკივნეული გახდა, რადგან ვგრძნობდი ზოგის დამამცირებელ, ირონიულ დამოკიდებულებას ზოგადად „ლტოლვილთა“ მიმართ. საერთოდ, არ მესმის როგორ შეიძლება იყო „ლტოლვილი“ საკუთარ მიწა-წყალზე. თუმცა ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა. ვფიქრობ, რომ საზოგადოება უფრო ტაქტიანი გახდა.

მეც ვიზრდებოდი, როგორც ჩვეულებრივი, არაფრით გამოჩენილი ადამიანი. მიყვარს ქართული ცეკვა. რაც შეეხება ჩემ ხასიათს, ძალიან ჯიუტი ვარ და არ მიყვარს როცა „ჭკუას მარიდებენ“. განსაკუთრებით კარგ გუნებაზე მაყენებს ნვომა. მიყვარს კითხვა, თუმცა არ შემიძლია ნებისმიერი წიგნი წავიკითხო. წიგნის არჩევამ ვარ პრეტენზიული.

თამამდ შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ შურნალისტიკის ფაკულტეტზე ვიპოვე საკუთარი თავი. მინდა ვიყო ილზიანი ადამიანი და წარმატებული შურნალისტი.

მიხარია, რომ გვერდით მყავს საყვარელი ადამიანი, რომელიც ამ გაზეთს, განსაკუთრებით კი მის მე-1 გვერდს ყველაზე მეტი ინტერესით ნათვლობს.

**სალომე პაპიძე:**

დავიბადე 1989 წლის 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობას. ვცხოვრობდი სოლოლაკში, ჩემს უსაყვარლეს უბანში. ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ: დედა – ქეთი ზამთარაძე, მამა – გუჯა პაპიძე, ძმა – ლევანი, და – მარიამი. დავამთავრე 43-ე სკოლა და თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის № 2 ცენტრალური მუსიკალური სასწავლებელი ვოკალის განხრით. ბავშვობიდან მიყვარს კითხვა, სიმღერა, ცეკვა და ხელსაქმე – ქარგვა, ქსოვა. ამ ყველაფრის წრეებზე დავდივარ და სულ გადარბენაზე ვიყავი. არ ვყოფილვარ ცელქი და თავისუფალ დროს ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი. გავთხოვდი 2007 წლის 19 ნოემბერს. მუდღე ირაკლი ნაჭყვიაძე ბიზნესმენია. უკვე სტუდენტი ვიყავი, როცა მეყოლა პირველი შვილი – საბა. მისი დაბადების თარიღია 08.08.08. მეორე კურსზე, 2009 წლის 20 ნოემბერს შემეძინა მეორე შვილი – სანდრო. მესამე კურსზე მესამე წრეზე წავიდი: სესილი დაიბადა 2011 წლის 8 ოქტომბერს. მის გამოც სწავლა ორი წლით გადავდე. ამასობაში კი მივიღე პროფესიული გამოცდილება საინფორმაციო სააგენტოსა და გაზეთში. სწავლა განვაგრძე, რალა თქმა უნდა, უკვე მეოთხე წრეზე წასულმა, ანდრიას მოლოდინში. ასე რომ, 24 წლის ასაკში ოთხი შვილის დედა ვარ და კაცმა არ იცის, კიდევ რა მოხდება :|) ჩემი ოცნებაა მყარი და ტრადიციული ოჯახის სიმყარე, რასაც მე და ირაკლი ყველანაირად ვცდილობთ. შვილების ღირსეულად აღზრდა და კარიერის აწყობა: მუშაობა მინდა ტელევიზიაში. იმედია, ყველაფერს შევძლებ :)

**გვანცა სამხარაძე:**

დავიბადე თბილისში 1992 წლის 7 მარტს. გავიზარდე პლენანოვზე. მყავს სამი ძმა და ერთი საუკეთესო ძმისშვილი, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარს. ჩავაბარე გრიგოლ როგაძის უნივერსიტეტში ჩემს საუკეთესო დაქალთან ერთად. მყავს საყვარელი მეუღლე და სამი თვის საბა. მიყვარს მზე, ზღვა, გარუჯვა და ცურვა. მინდა ამიხდეს ყველა ოცნება და ამისრულდეს ყველა სურვილი.



ულამაზესი თუშეთი მდიდარია ტრადიციებით და თუშები დღესაც ცდილობენ დაიცვან და შეინარჩუნონ ეს ტრადიციები.

თუშები არიან მალაღვანეთარეული კომპლური არქიტექტურისა და მუსიკალური ხელოვნების შემოქმედნი. თუშეთში ცხივიკომპები განსხვავებული არქიტექტურული ფორმითა და ქვითაა ნაშენები.

თუშეთის სიმღერების სევედიან ტონალობასა და მგზნებარე ქორეოგრაფიულ პლასტიკაში აღბეჭდილი ისტორიის მძიმე ქარტეხილებში გამოვლილი ხალხის სულიერი შეუპოვრობა, - ამბობს ლელა თათარაძე.

თუშის ხალხის ემოცია კარგადაა გამოხატული ეთერ თათარაძის ლექსებში: „წვიმა მე მგავ მეომას, დარდით ღლილებ ვტროდიოთ“...

თუშურ ტრადიციათგან აღსანიშნავია ათნიგენობები(დღეობები), რომლებიც ადგილობრივი მესაქედის ინიციატივით აღიწესდებიან. თუშურ დღეობებში კარგად ჩანს თუშთა ის ტრადიციები, რაც დღემდე აქვთ შემორჩენილი.

თუშურ ტრადიციათგან აღსანიშნავია ათნიგენობები(დღეობები), რომლებიც ადგილობრივი მესაქედის ინიციატივით აღიწესდებიან. თუშურ დღეობებში კარგად ჩანს თუშთა ის ტრადიციები, რაც დღემდე აქვთ შემორჩენილი.

ენი, რომ ეს დღეობა მხოლოდ ახალგაზრდების გასართობად და დროის სატარებლად ტარდება და არა ტრადიციებისა და თუშური წეს-ჩვეულების შესანარჩუნებლად.

ათნიგენობის, ანუ ჯვარისკარობის სარიტუალო ცერემონიებს უძღვება ჯვარის მსახური ანუ „ნათე“. მხოლოდ მას აქვს უფლება, გამოაბრძანოს ჯვარის დროშა და ზარების ჟღერით ამცნოს მთელს საყმოს ათნიგენობის დაწყება.

# ჩაბი ბთის ტრადიციები

ნობა არ ჩაივლის. ათნიგენობაში იციან დიდი და ქორბეღელს გაკეთება. ხუთი კაცი მხარი-მხარს გადახვეული დადგება წრედ და მათ მხრებზე შეადგება სხვა ხუთი. ასე, ნაღმა ტრიალით აქვთ ქორბეღელი საჯარედან (თავმოყრის ადგილიდან) ჯვარისკარამდე (სატამდე).

აქაური დღეობები დილის გარეშე არასდროს მთავრდება. ულამაზესი სანახავია, როგორ მოაქროლებენ ცხენებს მხედრები თუშეთის მთებზე.

დღესასწაული ხალხური ხელოვნების დიდებულ ფესტივალს წარმოადგენს, რომელშიც განსაკუთრებული სიხარულით ერთვებიან ადგილობრივი თუ



და ბუნებრივი საღებავების გამოყენებით ამზადებს ფარდაგებს, ქუდებს, ტანსაცმელს, ჭრელ-ჭრელ ნინდებს, რომელთა სილამაზეც აოცებს იქ ასულ ტურისტსა თუ ადგილობრივ მოსახლეს.

ათნიგენობის, არქიტექტურისა და ფოლკლორის გარდა აღსანიშნავია თუში ხალხის მთავარი საქმიანობა - მეცხვარეობა. მამაჩემმა ამხსნა, რომ თუშური ყველი თავისი სპეციფიური გემოთი გამოირჩევა, რომელსაც განსაკუთრებულობას აძლევს საგანგებოდ დამუშავებულ ცხვრის ტყავები - გუდამი დამზადება.

თუშებს სასმელიც ძალიან უყვართ და მას სახელი ამზადებენ. ეს არის ალუდი, რომელსაც ხატობის ან ქორნილის

დროს ხარშავენ. თუშური გრილი და გემრიელი ალუდის მოხარშვა ძველ თაობას უკეთ შეუძლია. თუშები გამოირჩევიან აგრეთვე თავისებური სადღეგრძელოებითა და თქმულებებით. თუშური სადღეგრძელოები სამ კატეგორიად იყოფა: ლეთის სადიდებლები, მიცვალებულთა შესანდობრები და ცოცხალთა სადღეგრძელოები.

თუშებმა ქორნილში იციან ღვინოს მიწის მიერ ჯვრის მიტანის უძველესი ცერემონიალი. ხის ჯვარი ჩასმულია მრგვალ პურში, ჯვრის წვერებზე ვაშლებია ჩამოცმული და ზედ ერთი წყვილი წინდაა გადაკიდებული.

ტრადიციათა სხვა ხალხის გასაცნობად თუშები მართავენ ფესტივალს, „თუშეთობა“, სადაც თავმოყრილია ყველა ის კულტურული და ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომელიც თუშეთში დღემდე შემორჩენილია.

თუშეთში ისევე როგორც საქართველო სხვა კუთხეებში, ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი ადათ-წესები და ახალი ჩვევები ერთმანეთს უზირისპირდებიან.

იმედი ვიქონიით, რომ ვერაღარ ტურისტებისა და თუშეთის სტუმრებისა, ჩვენი მთის კულტურას, ადათ-წესებს, ტრადიციებს და ლამაზ ბუნებას ღირსეულად დამფასებელი და დამცველი ეყოლება ჩვენი, თუში ახალგაზრდობის სახით.

ნინო აზიშვილი

მილანი. ჩრდილოეთი იტალია. ევროპის შუაგული. მკითხველის უმეტესი ნაწილისთვის ეს ქალაქი ალბათ მხოლოდ მოდასთან და ფეხბურთთან ასოცირდება, მით უმეტეს, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ჩვენს დედაქალაქს მილანის საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელები ენიჭებენ, საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის, კიევის „დინამოს“ და „მილანის“ ყოფილი წევრის კახა კალაძის გასაცნობებლად მატჩში მონაწილეობის მიხედვით. მათ შორის იყვნენ: პაოლო მალდინი, ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგა და სხვები.

მიუხედავად არაერთი პენალტის „გაფუჭებისა“ და ავტო გოლებისა, სწორედ კახა კალაძე გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის თასი მოიგო, თანაც - ორჯერ. იგი სხვა მილანელ ფეხბურთელებთან ერთად საქაზად ცნობილი ადამიანი გახდა მილანში და არა მხოლოდ... ჩემი იტალიაში ყოფნისას ახლოვლებთან ერთად წავედი სოფელ ობრაში, რომელიც ავსტრიის საზღვართან მდებარეობს, მილანიდან დაახლოებით 270 კილომეტრზე. რამდენიმე დღე დაყავით ზღვის დონიდან დაახლოებით 1700 მეტრზე მდებარე ამ ძალიან ლამაზ სოფელში. ერთ საღამოს სავაზომოდ წავედი ობრის ერთ-ერთ ბარ-რესტორანში. ჩვენი საუბრიდან გამომდინარე რესტორნის მმართველ დანიტრესდა, რომელი ქვეყნიდან ვიყავით, როდესაც ვუსხენეთ Georgia, მან სიხარულით შესძახა: - ოოო კალა, კალაძე!

და იმ წუთის დიდი სიხარული ვიგრძინე, რომ კახი კალაძის მემკვიდრეობით ჩვენს ქვეყანას იტალიის ერთ-ერთ შორეულ სოფელშიც კი იცნობდნენ. კახა კალაძემ სწორედ მილანში გაატარა თავისი საფეხბურთო კარიერის უმნიშვნელოვანესი წლები. გარდა ფეხბურთისა, მილანი ცნობილია თავისი ისტორიული შემობა-ნაგებობებით. ამ ქალაქის სხვა მრავალი სტუმრის მსგავსად, ჩემი ალფრთოვანება და ინტერესი გამოიწვია მილანის ტაძარმა - „დუომო დი მილანი“.



იყო 2011 წლის 28 სექტემბრის 23 საათი. სასიამოვნო და თბილი საღამო იდგა, სასიურნოდ რომ გავედიტ პაიაცა დუომოზე. განათებული მოედანი, ორგვლივ უამრავი ტურისტი და შუაგულში ულამაზესი ტაძარი! მანამდე ეს ყოველივე მხოლოდ ჩემი დღის მონაცემი, სურათები, ტელევიზიითა და გადმოცემით მქონდა წარმოდგენილი.

მილანში ყოფნისას მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მომიხდა ამ ტაძრის ნახვა და ახლა უკვე დღისით. რამდენიმე წრე დავარტყე დუომოს, ვაკვირდებოდი მის გამოსახულ თითოეულ ქანდაკებას, თითოეულ დეტალს და გულში ვამბობდი: „ღმერთო რა საოცრებაა, ამდენ ქანდაკებას გაკეთება არ უნდაა?“ და თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდა ის რასაც არ ველოდი: მილანი, ევროპის ცენტრი... მე, როგორც ტურისტი შევეყნის, მეცვა შორტები და როდესაც დუომოში შეველა მოვიხდომე, დაცვის თანამშრომლებმა არ შემიშვეს, სწორედ ამ შორტების გამო. ბევრი ხეყნა-მუდარის მიუხედავად, სხვა მრავალ ტურისტთან ერთად აღმოვჩნდი გარეთ. თუმცა მქონდა იმის ზედწინილება და საშუალება, მომდევნო დღეს, ან უკვე კაბით შემოსილი შეესულიყავი ტაძარ-

(1584-1658), ფაბიო მანგონე (1587-1629), და ფრანჩესკო სოავე (1743-1806).

დუომოს ერთ-ერთი მთავარქვალი ნაწილი მისი სახურავია, რომელიც დიდი რაოდენობით, ერთმანეთთან დაკავშირებული ულამაზესი კოშკებისაგან შედგება. სახურავზე ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. იქ მოხვედრა მზახველთათვის კიბეებით და ლიფტით არის შესაძლებელი. ლიფტის ფასი შეადგენდა 12 ევროს, ხოლო კიბით ასვლისას 7 ევროს გადახდა მომინდა და დავრწმუნდი, რომ ეს ყოველივე ამაღ ღირდა, უფრო მეტიც...

მილანის დუომოს ისტორიას აქ დავასრულებ. იმედი მაქვს, ჩემი მონაცემიდან გამომდინარე, მცირეოდენი მაინც გეცოდინებათ მის შესახებ და მილანში ყოფნისას და მისი დათვალიერებისას, არ მოგიწევთ ზედმეტი ფუ-

რულ ფასეულობას წარმოადგენს. ტაძარი სამწვანო ბაზილიკაა. ის კედლით ორ ნაწილადაა გაყოფილი - მრეკლისთვის და საეკლესიო გუნდისთვის. სან-მაურიციოს ეკლესიის გუნდი ძირითადად ბერებისგან შედგება.

ტაძრის კედლებს ამშვენებს ალორძინების ცნობილი მხატვრების ოსტატურად შესრულებული ფრესკები. მათ შორის არის ბერნარდინო ლუინის ნამუშევრებიც. ერთ-ერთი მათგანი ძალიან საინტერესოა: ეს არის წმინდა ეკატერინეს ფრესკა. ის განთავსებულია ეკლესიის მთავარ კედელზე, მესამე საშტოცველოში. მასზე აღწერილია გრაფინა მარია ბიანკო დე კალანტის ცხოვრების მომენტები.

ტურისტებისთვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, ქალაქ მილანის არქეოლოგიური მუზეუმი. ის განთავსებულია სან-მაურიციოს ყოფილ სამონასტრო კომპლექსში. მის ექსპონატებში შორის შეიძლება გამოვიყნოთ იარაღის მდიდარი კოლექცია, ასევე უძველესი ეპოქის ყოფის უამრავი ნივთი. უდიდეს ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს ქვა, რომელიც ნაპოვნია ვალ-კაპონიკას მდელიზე. მასზე ამოტიფრულია 170 ათასზე მეტი სხვადასხვა გამოსახულება. ეს ყველაზე დიდი და უძველესი აღმოჩენაა მილანის ევროპაში. კოლექციაში ასევე არის დახვეწილად შესრულებული მინის თასი, რომელიც მეოთხე საუკუნით თარიღდება.

ძალიან გამიტაცა ამ ქალაქის ხელოვნებამ, რომელიც წარსულის ამრდილებთან გვაახლოებს, თითქოს საშუალებას გვაძლევს საუკუნეებით წინ გადავუწვად უეცრად მეთექვსმეტე ან მეცხრე საუკუნეში აღმოვჩნდეთ. თითქოს დრო გაჩერდა და მრავალმა საუკუნემ ვერაფერი დააკლო ხელოვნების ამ გენიალურ ნიმუშებს. ჩემი არ იყოს, ალბათ თქვენც დარწმუნდით, რომ ქალაქი მილანი, მხოლოდ ბრენდული მალაზიებით და ფეხბურთით არ შემოიფარგლება.

ნინო გომციანიძე ფოტო ავტორისა

# პროსხედ იტალიაში

ში. დუომოს ინტერიერის დათვალიერება დიდხანს გაგრძელდა გიდან ერთად, რომელმაც საოცარი და საინტერესო ამბები მოგიყვია ტაძრის შესახებ:

ერთ-ერთი სახელგანთქმული შენობა მიუღს ევროპაში, იგი სიდიდით მეორეა და მხოლოდ სვეილიის კათედრალს ჩამორჩება. გითხრო სტილის შენობა, რომელიც აშენებულია თეთრი მარმარილოთი. მისი სიგრძე 157 მეტრია და მასში 40.000 ადამიანი ეტევა. ტაძარს საძირკველი 1386 წელს ჩაეყარა და დასრულდა 1813 წელს, როდესაც ნაპოლეონის ბრძანებით შეიქნა ფასადის ახალი დიზანი. თუმცა უხდა აღინიშნოს ის, რომ ზოგიერთი დეტალი საბოლოოდ მხოლოდ 1965 წელს დასრულდა და ღვთისმშობლის ნუქას-ნაულს დაემთხვა. ტაძრის არქიტექტორები იყვნენ: ფრანჩესკო მარია რიკინი

ლის ხარჯვა გიდის დასაქირავებლად. ბოლოს, ჩემი რჩევა იქნება, როგორც მამაკაცებისათვის ისე ქალებისათვის, დუომოს ნახვის დროს ეცადეთ შეარჩიოთ ნაკლებად ღია და გამოშწვევი ტანსაცმოსი, თორემ ჩემსავით გარეთ დარჩებით.

დუომოს შემდეგ გეზი სან-მაურიციოს მონასტრისკენ ავიღე, რომელიც ასევე მილანის ცენტრში მდებარეობს. ისევე, როგორც დუომო, ეს მონასტერიც დიდი ისტორიის მქონეა. სან-მაურიციო-მაჯორე დაარსებულია IX საუკუნეში, თუმცა ეკლესია გაცილებით გვიან აშენდა - მხოლოდ XVI საუკუნეში. ეს მონასტერი დაარსებულია არქიტექტორ ჯინა ჯაკომო დოლჩიგურენოს მიერ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია დაზუსტებული არ არის. ეკლესიის, როგორც გარე ისე შიდა სახე დიდ ისტორიულ და კულტურ-



**ტელესერიალი** არის მხატვრული ან დოკუმენტური კინონაწარმოები, რომელიც მრავალი სერიისაგან შედგება და ტელემაყურებლისთვის არის განკუთვნილი. ტელესერიალები პირობითად იყოფა ჯგუფებად: საპნის ოპერები, ტელენოველები, კლასიკური ტელესერიალები, მრავალსერიანი ტელეფილმები.

ტერმინი „სერიალი“ ყველას სხვადასხვანაირად ესმის. ჩემთვის სერიალი არ არის საპნის ოპერა, სადაც ესტებანს იზაბელა უყვარდება, რომელიც მოულოდნელად ზუანის შვილი აღმოჩნდება და სხვა მსგავსი სენტიმენტალური ამბები. მე სერიალებს ამერიკულ და სამხრეთ ამერიკულ სერიალებად ვყოფ, რადგან ისინი მართლა ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ამერიკულ სერიალებში რა არის, იცით? არის კონკრეტული ამბავი, რომელიც, როგორც წესი, ყოველ სერიაში აღწევს კულმინაციას, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, ეგზეციუტივული ბექსტორი სეზონის ბოლომდე გასდევს. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ხალხი სწორად გამოიყენებს სიტყვებს და ბრაზილოური, მექსიკური თუ ვენესუელური სერიალების აღსანიშნავად „საპნის ოპერას“ გამოიყენებს, ხოლო ამერიკულ სერიალებს კი ტელესერიალებად, სერიალებად მოიხსენიებს.

სატელევიზიო სერიალების ყურება დაახლოებით 16 წლის ასაკიდან დაიწყო. ჩემთვის ეს იყო არა მხოლოდ დროის გაყვანის საუკეთესო საშუალება, არამედ, შეიძლება ითქვას, სტრესთან და ცუდ გაუნებასთან გამკლავების საშუალებაც. ვიცი, მინახავს, მამეჩია, რომ ბევრს ჩემსავით სიამოვნებს სერიალების ყურება. რა ჯოჯობა იმას, როდესაც ცუდი დღე გაქვს და იცი, რომ სახლში საყვარელი სერიალი გელოდება, რომელსაც წამოწოლილი მშვიდად უყურებ, თანაც გვერდზე სასუსნავებს დაიდებ. ეს არის გრძნობა, რომელსაც ჩემი თანამოაზრეები კარგად გამოიგებენ...

სერიალები, ერთი მხრივ, სიამოვნებას ანიჭებს ახალგაზრდებს, მეორე მხრივ, ეხმარება მათ რუსულის თუ ინგლისურის შესწავლაში. ბევრი რუსული მათი მუშევრებით სვენს, ასე უფრო კარგად ითვისებენ. ქვემოთ ჩამოთვლილი იმ სერიალებს, რომლებიც ნანახი მაქვს, ან ახლა ვუყურებ. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ეს სვეთია ზღვაში, რადგან ახალი სერიალები გამოდის და გამოდის. მათგან ძალიან ბევრ მაინტერესებს.

პირველი სერიალი, რომელმაც ბავშვობიდან გამიტაცა და ძალიან მიყვარს არის „ზებუნებრივი“. სერიალი მოგვითხრობს ძმების სემ და დინ ვინჩესტერების თავგადასავალზე, რომლებიც თავიანთი 1967 წლის Chevrolet Impala-თი დამოუზაურებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი იძიებენ პარანორმალურ მოვლენებს, რომლებიც ამერიკულ ქალაქურ ლეგენდებზეა დაფუძნებული. ძმები ვინჩესტერები ებრძვიან შავ ძალებს, დემონებს, მოჩვენებებს, მოსტრებს და ა. შ. ეს არის ერთადერთი სერიალი, რომლის ყურებაც არასოდეს მომეზრდებოდა. სერიალი ყველას თავისი სიმბათია ჰყავს. ჩემს შემთხვევაში არის დინი. ამ სერიალის უკვე 9 სეზონია გამოსული და, როგორც ვიცი, ბევრი ჩემი ნაცნობ-მეგობარი მის ყურებას თავიდან აპირებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მართლაც კარგი სერიალია, რადგან მილიონამდე თავყ-



ნისმცემელი ჰყავს. ფილმების ინტერნეტ-ბაზის (IMDB) მიხედვით, მისი რეიტინგია 8,5/10.

ფორუმზე ვკითხულობ, რომ ბევრი უყურებს და განიხილავს ამ სერიალს. ზოგს გული სწყდება რაღაც მომენტებზე, ზოგი რას განიცდის და ზოგი რას. აი, თბილისის ფორუმის (forum.ge) რამდენიმე პოსტი „ზებუნებრივის“ შესახებ:

**Silencio:** ეგ სცენა დაამატეს გაგრძელება რომ უნდადათ იმიტომ. კრიკეს ჩანაფიქრით ყველა იხილებოდა - დინი დათანხმდებოდა მაიკლს, შედგებოდა საბოლოო შერეობა, ძმები დაძლეოდნენ ანგელოზებს და ლუციან-მაიკლიანად გალიაში ჩახტებოდნენ. ბობი და კასიც კვდებოდნენ.

**Glorfindel:** Silencio: ჰოოო...ეგ იქნებოდა მართლა ეპიკური ფინალი.

**Sidney:** ახალი სეზონი იქნება თუ 24 სერია? ვინმემ გამაგებინეთ რა...

**ტანკე:** Sidney ახალი სეზონი, ოქტომბერშია.

ტელესერიალი „ნიკიტა“, იმედია, ყველას გაუგია ვისაც არა, გეტყვით, რომ როდესაც ჩემი თაობის გოგო-ბიჭები პატარები ვიყავით, „ნიკიტა“ ქართულ ტელესივრცეშიც გადიოდა. მაგრამ ახლა რომ „ნიკიტაზე“ ვსაუბრობ, ის არაა. ეს არის თანამედროვე, ახალი 2010 წელს გამოსული სერიალი.

სერიალის სოუჟეტი საიდუმლო ორგანიზაციის გარშემო ვითარდება, რომლის სახელწოდებაცაა „განაყოფი“. ორგანიზაცია იტაცებს ბნელი წარსულის მქონე ახალგაზრდებს, აქრობს ყველანაირ ინფორმაციას მათზე და იწყება მათი წვრთნა როგორც ჯაშუშებისა და მკვლელებისა. ნიკიტა პირველია, რომელიც ამ ორგანიზაციას გამოექცა. პარალელურად მოვლენები ახალი „მოსწავლის“, ალექსის გარშემო ვითარდება, რომელიც თანდათან ეგუება ახალ ცხოვრებას. საინტერესოა, რომ სერიალის პირველი სეზონის მეტაფიქტურულად, საქართველოა მოხსენიებული, მაგრამ ფაქტების დამახინჯებით. ტელეკომპანია The CW-მ „ნიკიტას“ ეს სერია საქართველოსა და მის მოლაღატე პრინციპს დაუთმო. ალექსი აღმოაჩენს რომ ვიღაცამ „განყოფილებას“ საქართველოს პრინციპს ერთ-კის მოკვლა შეუკვეთა, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი საზოგადოების წინაშე გალა მუზეუმში სიტყვით გამოდიოდა. როცა ალექსი და მისი ჯგუფი მუზეუმში

იარაღებით შეიჭრენ, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ქართულად შესძახა: „ყველა-ნი ძირს, ჩვენ საქართველოს პატრონები ვართ!“ „ნიკიტას“ IMDB-რეიტინგია 7,4/10.

Forum.ge-ს პოსტები „ნიკიტაზე“: **Blackrider:** ძველსაც უნდა ვუყურო და ახალსაც. P. S. ამის რეკლამები ყველგანაა, PC Gamer-შიც შემხვდა.

**Alice:** ახლა დაიწყო ყურება და ძალიან მომწონს. მეგე ქო რა ქალია! ეგეთი ლამაზი და სექსუალური აზიელი არ მინახავს.

**skatmadzde:** ძველში მთელი სერიები თითქმის ერთი და იგივე სოუჟეტები იყო. მიიღებდნენ ახალ დავალებას პერსის და ამანდასგან და შემდეგ წარმატებით ასრულებდნენ. ახალში კიდევ უფრო ჩახლართული და საინტერესო მოვლენები ხდება. პირველი არის უნიკალური ახალი ნიკიტაში...

**crueila:** ეს სერიალი წინა ვერსიას რა თქმა უნდა ვერც შეედრება, მაგრამ რაც დაინყეს, იმას კარგად აგრძელებენ და 8-ზე მაინც აუვა imdb-ზე რეიტინგი.

ამ ორის გარდა ძალიან მიყვარს ისტორიული სერიალები, როგორებიცაა, მაგალითად: „სპარტაკი“ ან „ტიუდორები“.

პირველი – ეს არის სერიალი, ცნობილი გლადიატორის შესახებ. სპარტაკი არის ადამიანი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მონათა აჯანყებას ძველ რომში და რომელიც მათთან ერთად თავისუფლებისათვის იბრძოდა. (IMDB-რეიტინგი 8,7/10).

მეორე – ინგლისის მეფის ჰენრი VIII-ის ცხოვრებაზეა, მის აღმასვლაზე, დაცემასა და დიდებულ საქმეებზე (IMDB-რეიტინგი 8,1/10). „ტიუდორების“ ყურება როდესაც დავამთავრე, ძალიან მომიწონდა იმ წიგნის ნაკითხვა, რომლის მიხედვითაც ეს სერიალია გადაღებული. მაგრამ ჯერ არ წამიკითხავს. „ტიუდორები“ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მოვიძიე მასალები მასში აღწერილი ამბების შესახებ, ვათვალიერებდი სხვადასხვა ვებგვერდს. საინტერესოა პროცესია, როდესაც რაღაც ძალიან გაინტერესებს, ეძებ და, რაც მთავარია, პულობ კიდევ იმას, რაც გინდა.

პოსტები „სპარტაკზე“: **GHOST:** ეს სერიალი კარგი ჩანს პირველი შეხედვით, ენახოთ რა გამოვა.

**Quilchxi:** საკმაოდ საინტერესო სერიალი ჩანს ენახოთ ერთი რა იქნება...

**merabino:** ვა, უკვე გამოვიდა? აბა 2010-ში? საინტერესოა. დრო რომ მექნება, აუცილებლად ჩაუყვებო.

**სუხიშვილები:** ვაა! საინტერესო სერიალი ჩანს. ღირს ყურება.

**heilos: sukhisvilebi** კი ღირს ყურება, რომის ისტორიაც ინტრიგებით აღსავსეა.

**SCO:** ჩემი მეგობარი ვერ იტანს სისხლებს და ამბებს, თან ტრეილერები რო ნახა, რა არის, ბავშვური ეფექტებიაო. ეგ ძიშოვი მასოვკის მისაზიდად გაფორმებული ჭრელა-ჭრულაა, თანამედროვეობის მოთხენისამებრ შეფუთული და სილმეში ძან კარგი ბაზისია, იმენა ვეფხისტყაოსნურობებია მეთქი : ) მეგობრობის, თავისუფლების, სიყვარულის პირველსაწყისი ფორმებია, დააფდეთ ითებების და 21საუკუნისეული მიხლებების გარეშე მეთქი... დაინტერესდა და წუხელ დაიწყო ყურება. გავაფრთხილე, პირველ სერიაში უბრალოდ შეეგუები რა და როგორ ხდება, ვინ ვისი მტერია, ვინ ვისზე იძიებს შურს და რას უნდა ელოდო შემდეგ სერიებში. აი მეორე სერია რო ნახავ იცოდე ჩავითრევს და მერე უკვე კანეცი გაქ მეთქი და... დღეს მწერს... ამკარად კანეცი აქვს. ღამე გაუთენებია.

როგორც მე, ასევე სხვასაც მოსწონს კრიმინალური სერიალები, როგორიცაა მაგალითად: „ანარქის შვილები“, რომელიც, ასე მგონია, ბიჭებს უფრო დაინტერესებს, ვიდრე გოგოებს (მე ალბათ გამონაკლისი ვარ), რადგან ეს სერიალი არის ბაიკერების კლუბზე, რომელიც იარაღების გაყიდვით არის დაკავებული. ისინი თავიანთ ქალაქში კრძალავენ ნარკოტიკებს და სინყნარეს მიეღობიან. ამ სერიალის ხუთივე სეზონს 2013 წლის იანვარში ვუყურებ, როდესაც უნივერსიტეტში არდადეგები გვექონდა და მეექვსე სეზონის მოლოდინში ვიყავი. ახლა უკვე მეექვსე სეზონიც არის გამოსული... აქ ძალიან კარგად არის შერჩეული მუსიკა. პირველი სერიის შემდეგ ინტერნეტში დაფიქრებოდი, რათა მეპოვა საუნდტრეკი, სურათები და სხვა რამ ინფორმაცია ამ სერიალზე. „ანარქის შვილების“ IMDB-რეიტინგია 8,6/10.

აი, რას მოსტავენ სერიალოფილები თბილისის ფორუმზე: **DavidKh:** მე მგონი მაგარი სერიალია, ერთ სერიას ვუყურებ სრულად და დამევა-სა რაღაც...

**Herz0G: DavidKh** კი კარგია : ) 1 სეზონია ვერ გამოსული მარტო. 13 სერია მაგრამ 1 საათიანია თითო.

**sak\_art\_vel\_o:** უძლიერესი სერიალია. **Blackrider:** საინტერესო ჩანს. ვინერ.

**ValenTine\_Kelly:** ეს სჯობს ბრეიქინგ ბედს. პირველივე სერიებიდან ექმენი არ მოგეკლებია.

**Blackrider:** რა უბედურებაა 1 წელი ლოდინი შემდეგ სერიაში. ესე სწრაფად ვერ სერიალი არ მიყურებია ალბათ. დაიწყო თუ არა soundtrack 1 ნუთმი ეგრევე ძებნა დავინყე . მუსიკალურად 10/10 აქვს გაფორმება.

**lomsa:** მუსიკალურმა გაფორმებამაც დაგლიჯა რა ...

ბოლოსთვის „სატახტოთა თამაში“ მოვიტოვე, სერიალი, რომლის თითოეული სერიის გამოსვლას ყველა გულისხანცქალით ელოდებოდა. ჰყავს მილიონობით თავყანისმცემელი. ჯორჯ რეიმონდ რიჩარდ მარტინის რომანების ციკლის „ჩინულისა და ცეცხლის სიმღერის“ ეკრანიზაცია სტუდია HBO-მ განგაბორცილად და სერიალი ტელეეკრანებზე 2011 წლის აპრილში გამოჩნდა. სერიალში დიდი ბრძოლაა განაღებული შვიდი სამეფოს ერთიანი რკინის სამეფო ტახტისათვის. ქასთი მშვენიერია. განსაკუთრებით საყურადღებოა მსახიობი შონ ბინი, რომელიც „ბექტების მბრძანებელი“ გონდორელ მეომარს – ბორომის თამაშობს. აქ გაგინდებთ სიმპათიები სხვადასხვა პერსონაჟის მიმართ. მეც მყავს უკვე... ეს არის დრაკონთა დედა – დანერის ტარგარინი. სერიალს IMDB-ზე ძალზე მაღალი რეიტინგი აქვს – 9,4/10. ყველაზე კარგი და საინტერესო კი ისაა, რომ მარტინის წიგნი „სატახტოთა თამაში“ ქართულადაც გამოვიდა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „არეტე“.

და ისევ თბილისის ფორუმი, ამჯერად – „სატახტოთა თამაშის“ შესახებ:

**Quilchxi:** ძალიან საინტერესო სერიალი ჩანს და დიდი სიამოვნებით ვუყურებ. თან HBO-ს სერიალი წესით ცუდი არც იქნება.

**Blackrider:** წიგნებიც მაგრად მაინტერესებს.

**Weiman:** საყვარელი პერსონაჟები არიან დაინერისი (უდავო ფავორიტი), რომ სტარკი, ტირიონ ლანისტერი, არია სტარკი და ვოლ სნოუ.

**layne:** ფიციებისგან დავიცალე... ბოლო დავიტოვე ხვალისთვის, საღ გონებაზე რომ წავიკითხო. მარტინი არის გიჟი!!!! და ბოლოს... რის ყურებას ვაპირებ... და ვინჩის დემონები (IMDB-ზე რეიტინგი აქვს 8,2/10). ნათელშვილელი (IMDB-ზე რეიტინგი აქვს 8,3/10).ვიკინგები (IMDB-ზე რეიტინგი აქვს 8,7/10).

ამდენი დრო სად აქვსო... იფიქრებთ იტყვიო... დაახ, ერთი შეხედვით, „უსაქმური“ ვარ. თქვენც სცადეთ და თქვენც მოასწრებთ ყველაფერს. დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ ჩემი ნაქვები სერიალები. წარმოიდგინე, რომ სახლში დაღლილი მიდიხარ, არაფრის თავი არ გაქვს, წამოწევი და ჩართავ შენთვის საყვარელ თუ საინტერესო სერიალს. გვერდზე ცხელი ჩაი გივდგას, შოკოლადები, თუ გინდა – პოპკორნიც და წავიდაა... ძალიან მაგარი გრძნობაა, როდესაც სახლში თბილად ხარ შენთვის, უყურებ სერიალს, ამ დროს გარეთ წვიმს... უჰ...

თამარ მკისაშვილი





- დედათილმა მონამულე ნამ- ცხვარი მომართვა, ეგონა შეეჭამდი... - რა ნამცხვარი იყო?

ეს გახლავთ ერთ-ერთი ვებ-გვერ- დიდან (oxunji.ge) ამოღებული დი- ალოგი, რომელიც ფოტოს ახლავს აი, მეორე დიალოგიც იმავე გვერდიდან:

- ყოველთვის, როცა ჭურჭელს ვრეცხავდი, სასტიკად მცემდა.

- რატომ, ფერი არ მოსწონდა?

უკვე 5 წელია, ყოველ ხუთშაბათი დღის საღამოს 10-დან 12 საათამდე ასეთ დიალოგებს ეთმობა სატელევი- ზიო ეთერი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე. ალბათ უკვე მიხვდით, რა- ზეც ვსაუბრობ... დიხ, ეს გადაცემა „პროფილი“ გახლავთ თავისი ნამყვა- ნით, მათა ასათინით, რომელსაც მი- ენერება უამრავი მსგავსი დიალოგი.

ძალზე საინტერესო ფორუმს წა- ვანყფი თავად „რუსთავი-2“-ის გვერ- დზე, სადაც აი, ასეთი კომენტარები ეწერა:

„ნუთუ არავინ ეუბნება, რა ქა- ჯურად წარმოთქვამს „ბატონოს“ ან თვითონ არ უყურებს ჩანაწერს? ბატო ლევან, ბატო ვახტანგ. მერე რა, რომ ამ გადაცემას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონია თურმე, მერე რა რომ მდარე გადაცემებზე მეტი მოთ- ხოვნილება საზოგადოებაში. ეს იმი- ტომ, რომ თქვენისთანა მდარე დო- ნის ჟურნალისტებმა ჩამოუყალიბეს მაყურებელს გემოვნება წლების განმავლობაში. მაგრამ უბედურება ისაა, რომ თქვენ თვითონ არ ცდი- ლობთ პროფესიულად გაიზარდოთ, დაიხვეწოთ, დღეს იმაზე უკეთესი გააკეთოთ ვიდრე მანამდე გიკეთე- ბიათ, ხვალ დღევანდელზე უკეთესი გააკეთოთ. მათა, ეგეთ კითხვებს ალ- ბათ სოფლის ორღობეში აღარ სვამენ ჭორიკანა ქალები მრავალათასიანი (თუ მილიონი არა) მაყურებლის წი- ნაშე კი არა.“

ამ კომენტარს კი იქვე ასეთი პასუ- ხი მოჰყვა:

„ჟურნალისტებმა კი არ ჩამო- უყალიბეს მდარე გემოვნება მაყუ- რებელს, არამედ ჟურნალისტებმა შექმნეს პროდუქტი, რომელიც ფარ- თო მასების გემოვნებას მიესადაგება და მას არავითარ დისკომფორტს არ უქმნის ამ პროდუქტის დაგემოვნე- ბა-მონღებისას. თორემ აბა ძალიან კარგი ხარისხის პროდუქტი ინტე- ლექტუალებს დააკმაყოფილებდა (ტელე-აუდიტორიის 5 %) მაგრამ ფართო მასებს ყელზე დაადებოდათ ანუ შესაბამისად ველარ გაიყიდებო- და და... Chao რეიტინგი!“

ხოლო ამის ავტორს ასეთ პასუხს სცემენ:

„მე მაინც მგონია, რომ ჟურნალის- ტებმა უნდა ჩამოუყალიბონ მაყურე- ბელს გემოვნება. ნეტავ მერე ვინაა თუ საქართველოში მცხოვრებთაგან სხვასაც შეექმნა ასეთი შთაბეჭდი- ლება, რომ საქართველოში ადგილი აქვს უგემოვნო მასების გარკვეულ ამბობსაც კი და მდარე ექსპლუატის აგრესიულ მხარდაჭერას, განსაკუთ- რებით იმ ტაშ-ტაშ-ტარაშ-ტარაშ პროფილის შემდეგ.“

საჭიროდ აღარ ჩავთვალე მეტი კომენტარის აქ გადმოწერა, თქვენ თვითონაც შეგიძლიათ ჩანეროთ Google-ის საძიებო სისტემაში გადა- ცემის სახელწოდება და გვერდით ფორუმი მიუწეროთ, რის შემდეგ მრავალად იხილავთ მსგავს და კიდევ უფრო მწვავე კომენტარებს.

გადაცემაში ხშირად მოისმენთ ამბებს ვილაცის პირად ცხოვრებაზე, გინეკოლოგიურ ჩარევებზე, პლასტი- კურ ოპერაციებზე და ა.შ.

დღესდღეობით ტელევიზია ყველა- ზე პოპულარული საშუალებაა ვინმეს გასაპირებლად და რეკლამის განსა- თავსებლად. „პროფილიც“ საკმაოდ წარმატებით მისდევს ამ კალაპოტს



# „რუსთავი 2“-ის „ზედვრები“

- ყოველი გადაცემა ვილაცის ან რა- ლაცის რეკლამასა თუ პირადად აგებუ- ლი. არ შემოიძლია არ გავიხსენო ერთი გადაცემა, სადაც ავტორს ჩვენი ერის „სილამაზის ეტალონი“ და „ქალი- ლვთაება“, შორენა ბეგაშვილი ჰყავ- და მიწვეული, და რომელიც მაისას და შორენას შორის ასეთი დიალოგი შედგა:

- მეკრდი რა ზომა გაქვს? (მაიას ბედნიერი სახე)

- ორი და რაღაც... ( ვითომ შერც- ხვა)

- კარგი ახლა, რა ორი?? მე მეგო- ნა ხუთი, ექვსი... (გაოცებული სახე)

- ჰო, ორი და რაღაც... ( ვითომ უფრო დარცხვინილი)

- ვერ გავიგე... ( დაბნეული მაიკო)

- აუუ, რა ვერ გაიგე, ორი და რაღაც... ( შორენას უკვე ყელში ამო- უვიდა და „გაბრაზდა“, ჰოდა მაიკოც შეეშვა.)

სხვათა შორის, სერიოზული ეჭვი მაქვს მაიას მეკრდთან დაკავშირე- ბულ კომპლექსზე, რატომ? იმიტომ, რომ როგორც კი მომენტი ჩაუვარ- დება და ისეთი რესპონდენტი ჰყავს, რომელსაც ოდნავ მოზრდილი მეკრ- დი აქვს, მაშინვე კითხვებს აყრის იმის შესახებ, ნამდვილია თუ არა, რა გრძობაა ასეთი მეკრდის ქონა, მამაკაცები როგორ აღიქვამენ და რა ვიცი, კიდევ ათასი სისულელე... ერთ გადაცემაში მიწვეული ჰყავდა ნინო მუშლაძე და, რა თქმა უნდა, არ გაუშ- ვა შანსი მისთვის მეკრდის შესახებ ეკითხა... რას ვიზამთ, მაიას ეს უნებ- ლიეთ მოსდის, ან კიდევ ამ თემაზე საუბარი საინტერესოდ მიაჩნია. ეტ- ყობა, ხალხისთვისაც ეს გახდა მნიშე- ნელოვანი და ყველაზე საინტერესო. აბა, მაშინ ამხელა რეიტინგი ხომ არ ექნებოდა გადაცემას!

ისე, არ შეიძლება არ დაუფასოთ ის ნამდვილად კეთილი საქმეები, რომლებიც მისი გადაცემის მეშვე- ობით გაკეთდა. აი, მაგალითად თემა „დაკარგულები“ რომ აქვს, რომლის მეშვეობითაც საკმაოდ ბევრმა ადა- მიანმა იპოვა თავისი ახლობელი. ასე- ვე საინტერესოა გაჭირვებული ხალ- ხის დასახმარებლად მომზადებული გადაცემები. მაგრამ ეს ყველაფერი არცთუ ისე ხშირად ხდება და სხვათა შორის აი, ასეთი სტილში: შეილმკე- დარი დედა გეყვება თავის განსაც- დელზე, მათა ეკითხება:

- მომიყვით როგორ მოხდა...

და რესპონდენტი ცხარე ცრემლე- ბით ყვება შვილის სიკვდილის დეტა- ლებს... ნამყვანი, აწყვეტინებს:

- რა იგრძენით? ახლა რას გრძნობთ?

„პროფილის“ ძალიან ხშირი სტუმ- რები არიან „რუსთავი-2“-ის კიდევ ერთი „შედეგის“, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გმირები. ეს გახ- ლავთ სუფთა კომერციული მარაზ- მი, ქართული ბარ-რესტორნების, სავაჭრო ქსელებისა და კიდევ უამ- რავი კომპანიისა თუ დაწესებულე- ბის რეკლამირებით დატვირთული ქართული საშენის ოპერა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ბრაზი- ლიურ და მექსიკურ საშენის ოპერებს: ვილაც დათო ღალატობს ცოლს და ეს თემა იმდენად აქტუალური და პრობ- ლემური ხდება, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწი- ლის სალაპარაკო და განხილვის მთა- ვარი საგანი არის ღალატი და მისი გამოწვევი საძაგელი ქალი ნათია... ხალხი სრული სერიოზულობით მი- დის იმ კლინიკასთან, სადაც, სცენარის მიხედვით, ეს ქალბატონი ნათია მუშაობს და ტოვებენ ჩანაწერებს: „დათო, ნუ გაცვლი ცოლს ნათიას ძუძუებში“. მერე ითხოვენ სცენარის შეცვლას. ამაზე, რაღა თქმა უნდა, მზადდება სიუჟეტი. ჰოდა, სერიალის სცენარისტი, ქალბატონი ქეთი დეე- დარიანი ძალიან სერიოზული სახითა და ტონით აცხადებს:

- შეაგროვოს მოსახლეობამ 250 ათასი ხელმოწერა და მე სცენარს შევცვლი!

და თუ გგონიათ გაჭირდება ამდენი ხელმოწერის შეგროვება ისე არა, მეტსაც მოუყრიან თავს... რომ შეხ- ვიდეთ ფორუმებზე, იცით, რამხელა სჯვა-ბაასი მიდის ამ თემის ირგვლივ?! ხალხს სერიალი სინამდვილეში ერე- ვა. სოციალურ ქსელში მათი გვერდე- ბია გაკეთებული, ოფიციალურიც და არაოფიციალურიც, და სულ გადა- ვიროი, როდესაც მათი სტატუსები ვნახე: ყველა სერიიდან ამოღებული აქეთ რაღაც ფრაზები, რომლებიც, მათი აზრით, საინტერესო კი არა, ბრძნულია და საყოველთაო აღიარე- ბას იმსახურებს... ნეტა ეს ყველაფე- რი ამით შემოიფარგლებოდეს! ამას ისეთი სერიოზული კომენტარები მოჰყვებააა! აი, მაგალითად:

„ღირსია დათო, რომ ნინა არ შე- ურიდეს!“

„აბა დათოს რა ეგონა??“

„არა, მარტო დათოსი კი არა, ცო- ლის ბრალიც არის ეს ამბავი!“

„ეს ნათია რა ნამუსგარეცხილი ქალია! ხომ იცის რომ ცოლი ჰყავს დათოსს!“

სერიალისთვის განკუთვნილი დრო თურმე არ ყოფილა საკმარი- სი და თქვენ წარმოიდგინეთ რას აკეთებს ამ დროს მათა? რაღა თქმა

უნდა, ინვესტ გადაცემაში ამ პერ- სონაჟებს და სერიოზული სახით, აწყობული გულით, აკანკალებული ხმით, გაბუტული ტუჩით და განან- ყენებული ცოლის როლში შეჭრილი ვეითხება ამ ვილაც დათოს როლის შემსრულებელს:

- რატომ უღალატე? ნინა (ცოლი) ხომ ასეთი კარგი გოგოა?

თითქოს ეს მათა არ გვეყოფოდა თავისი „პროფილი“ და უცბად მის მოპაექრედ ქართულ მედიასივრცეში „პროფილის“ მსგავსი „ნანუკას შოუ“ გამოიჩეკა, ნანუკა ჟორჯიანიის საავტორო გადაცემა, „ექსკლუზიურ“ ინფორმაციაზე ორიენტირებული:

„თქვა ჯამბურისა ყოფილი მეუღ- ლე ბექა ხოფერია სიკვდილს გადა- ურჩა!“

„ნუკი კომპლექსილი შეყვარე- ბულს დაშორდა!“

სხვათა შორის, ეს შოუ, ისევე რო- გორც მისი ნამყვანი, „პროფილის- გან“ განსხვავებით, ცდილობს, ცოტა უფრო „სვეცკური“ იმიჯი დაიმკვიდ- როს, მაგრამ ამის მაგიერად ხშირად უფრო ცანცარს წააგავს გადაცემაც და ნამყვანიც, უფრო სხვადასხვა ბრენდის რეკლამას აკეთებს, ვიდრე რამიმ ღირებულს... ჰყავს რაღაც ჩიტინი, ვითომ სკანდალური ამბების მიმტანი, უჩინარი თუ რაღაც ამდაგ- ვარი და მაიასავით ისიც ვითომ შოუ ბიზნესის ვარსკვლავებს თავიანთ პირად ცხოვრებაზე ალაპარაკებს, დადის მათ სახლებში და ხალხს ისედაც უკვე გახეთქილ გულს კიდევ უფრო უხეთქავს ლამაზი და კომფორტული ბინების დემონსტ- რაციით...

ფორუმებზე წერენ:

„ახლა ვნახე ჩანაწერი: მე მომიტე- ვეთ, მაგრამ სასტიკად არ მომეწონა ნამყვანი ნანიკო, ელემენტარული გრამატიკული შეცდომები კი არა, საერთოდ არ მეტყველებს გამართუ- ლად, მერე ამ ხელების ჰოლანდიური ნისქილებითი ქნევა რაღაა? ხალხს რომ აწყვეტინებს და უაზრო და დაუმთავრებელ ნინადებებს ჩრის ბოლოს ტონის დადაბლებით, გრი- გოლიასგან გადაიღო? ნუ მოკლედ, ნამყვანი სუსტია, ძალიან არ მინდო- და ამის დაწერა, მაგრამ არ მომეწონა და რა ვქნა! თუმცა რატომღაც ისე- თი შემართებით უყურებდი, რომ მინდოდა, მომწონებოდა. არაუშავს. იმედა, დაიხვენება... ჰო, კიდე, ცოტა იმიჯია ძალიან პირველსტერე- ოსული. უფრო მეტი უშუალობა და სოლიდურობა საჭირო, უშუალობა კი ხელოვნური არ უნდა იყოს, ლალი განწყობა და ამასთანავე, შინაგანი

თავდაჭერილობა... მგონი, ბევრს ვთხოვ“.

გადაცემა კანარის კუნძულებიდან (და არა კანარების კუნძულებიდან, რო- გორც თვითონ გვითხრა): ჟორჯო- ლიანის სამოსელის მიღმა ვხედავთ მოთათაღე, მის აღმატებულეა ლიპს (ისეთი პოზიცია მაინც დაეჭი- რა, საიდანაც მას ქარი ნანუკა-ნი- დან დაუბერავდა და მაყურებელს ამ უფორმო „პრელესტების“ ხილვი- საგან დაინდობდა)... დანარჩენს ვერ გაუძელო და დავასტოპე.

გადაცემა საგერმენითიდან: იგივე მოთათაღე ლიპი, მაგრამ კალან- დის საინტერესო ისტორიული დის- კურსით გაჯერებული (შიგადაშიგ ნანუკა-ნას უტაქტო ჩარევებით) და ამ ქალბატონის ბავთვან გარდმო- მხტარი კიდევ ერთი „ქართული“ სიტყ- ვით: „ბუკვალურად“...

იმედა მალე, ძალიან მალე ნან- უკა-ნას გადაცემა დაიხურება და მის ნამყვანს ჟურნალისტთა დახე- ლოვნების ინსტიტუტში გააგზავნიან მინიმუმ 5 წლით, რათა მართლა და ნამდვილად შეისწავლოს ეს პროფე- სია. სირცხვილია ამგვარი მომროშ- ველის მედიასივრცეში ლიცლიცი. არ ვუკარგავ იმას, რომ მისგან ძალიან პოზიტიური ენერგია და სიკეთისადმი ლტოლვა მოდის. მაგრამ მას გამაღა- შინება და დახვენა, რაფინირება და პროფესიონალურად სწორი უნარ- ჩვევების გამოუმუშავება, აგრეთვე, ლექსიკონის შექმნა ესაჭიროება.

არ მითხრათ ახლა, არა შეჯდა მწყერი ხესაო!

ნანუკასაც აქვს საკმაოდ სერი- ოზული კომპლექსი, ოღონდ ჭარბ ნონასთან დაკავშირებით და არ არ- სებობს გადაცემა, სადაც ამის შესა- ზებ რამეს არ იტყვის, რაც საკმაოდ მომბეზრებელი და უკვე ცანცარში გადასული ჩვევაა...

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ნა- ნუკას შოუ“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გადიოდა, მაგრამ გარკვე- ული მიზეზების გამო მას ამ ტელე- ვიზიიდან წამოსვლა მოუწია და ვინ შეიფარებდა, თუ არა „რუსთავი-2“. გახარებულმა ხელში გემრიელი ლუკმა ჩაიგდო და ახლა მთელი სა- მაუნეებლო სივრცის „შედევრები“ მის ხელშია, რითაც ყოველი შესაძ- ლებლობისთანავე საქვეყნოდ ტრა- ბახობს...

რეიტინგი კი ამ გადაცემასაც აქვს.

ყველაფერი ჩვენი ბრაღია, ტელე- მაყურებლებისა. მეტი არავისი.

სალომე პაპიძე

# ჩემი სამყარო – იტალიური ეზო

„იტალიური ეზო“, ძველი თბილისის ფენომენია, ტერმინი კი გვიანდელია. იგი კომუნისტების დროს გაჩნდა, როცა ერთ ბინაში რამდენიმე ოჯახი შესახლეს და თბილისური ეზოები სხვანაირად ახმაურდა. როგორც ჩანს, ეს ხმაური მაშინ პოპულარულ იტალიურ ფილმებს დაუკავშირეს და ასეთ ეზოებს „იტალიური ეზო“ დაერქვა. სინამდვილეში იტალიური ეზო არ არსებობს, ეს თბილისური ეზოა.

თბილისის იტალიური ეზო თითქოს მუზეუმი, რომელშიც დაცულია ქალაქისა და ოჯახების ისტორია. თუმცა დღეს იტალიურმა ეზომაც იცვალა სახე-აღარ არის ის ერთი საერთო საპირფარეო, ის ერთი საერთო ონკანი, ერთი საერთო ტელევიზორი... წარსულს ჩაბარდა „საპირფარეოს გრძელი რიგები“, ქურჭლისგან საუცხოო რახარები, „დინამოს“ თამაშის საყურებლად ერთად შეკრებილი მთელი სამეზობლო.

ასევე წელ-წელა ნაშალა სიახლის ქარმა ადრინდელი ქართული პურმარილი, რაც ყავამ და ნამცხვარმა ჩაანაცვლა. ის კი ნამდვილად იყო, არის და იქნება, მზის ამოსვლას მთელი ეზოს გაღვივება რომ მოსდევს, მყუდროობა რომ სადღაც ქრება და იწყება რა-რა, ფიცილ-ზივილი, გადახახალ-გადმოძახილი, სტვენა, ტირილი, ლანძღვა. არასდროს ქრება ის უდიდესი სიცოცხლის ხალისი, რომელიც იტალიურ ეზოში სუფევს. მისი მაჯისცემა ხანდახან თითქოს მინავლდება, მაგრამ არასდროს ჩერდება. იქ ქორიც სხვანაირი იციან და ლხინიც. ვინმეს სადღაც ძალიან შორს რომ გარდაეცვლება არც თუ ისე ახლო ნათესავი, მაინც მთელი ეზო შეიკრებება და უყურებანოდ გაუდგებიან საჭირისუფლო გზას.

დიდი აუიოტაჟის გამოჩნევა ნარდის ჩემპიონატები, იმთავითვე რომ დამკვიდრდა იტალიურ ეზოებში. თუმცა დღეს მამების ნარდს შვილების ვოკერი ცვლის, მაგრამ ურთიერთობის თვალსაზრისით, ესეც იმ ნარდის ტრადიციის გაგრძელებაა. მთავარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ეზოს ნარდი და ეზოს ვოკერი ინტერნეტ-ნარდმა და ინტერნეტ-ვოკერმა არ ჩაანაცვლოს, თორემ ნარდის ვოკერი შეცვლა მაინც ტრადიციის გაგრძელება იქნება.

ჩემს ცნობიერებაში თავიდანვე გაჩნდა ერთი დიდი ოჯახი, რომელსაც „ჩემი ეზო“ ჰქვია და რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულად მეჩვენებოდა. დღეს კი ყველას თამაზად ვეუბნები, რომ „ჩემი ეზო სულ სხვაა“, სხვა სუნი, სხვა გრძობებით და სხვა ურთიერთობებით. მასხოვს, დედა რომ სადმე მიდიოდა, ნინოს ეტყობოდა, მეზობელს, რამდენჯერმე დახვდებოდა და მეც მალე მოვალდი. ნინოც ათ წუთში ერთხელ შემივიხილა ხოლმე დედაჩემის მოსვლამდე. ზაფხული რომ დადგებოდა და აგარაკზე ნავიდოდით, სახლის გასაღებს მეზობელს ვუტოვებდით, – რამე რომ იყოს, მაინც გქონდესო. საოცარი ნდობა,

კიდევ ის მახსენდება, ძველად ტელეფონი ეზოში ერთ ოჯახს რომ ჰქონდა და ყველას ნათესავი თუ ნაცნობ-მეგობარი იმ ერთ ტელეფონზე რომ რეკავდა. იყო მერე გადაძახილ-გადმოძახილი, – არიქა, მოდი, გირეკავენო!

ჩემს ეზოში ფეხს რომ შევდგამ, სხვა სამყარო იწყება, სხვა ღირებულებები, „სხვა ოჯახი“, სხვა სინარული და სხვა ტკივილი... ეზო უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს ემოციურ განვითარებაში. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ახალშენებულ კორპუსში მეუღლესთან გადასვლისას. აქ ვერავის სთხოვ „ბავშვი დაიბრუნე“, აქ ვერავის ეტყვი, – „ამოდი ერთად ვისადილოთ“ და ხახვზე ჩასვლა გერძობდა უცნობ მეზობელთან და თუ მინც ჩახვალ, დიდი ალბათობა იმისა, რომ კარებს იქიდან კარგად დარეგებულმა ბავშვმა გამოგძახოს, – უფროსები სახლში არ არიან და კარს ვერ გაავლებო.

ამასთან ერთად, დაეკარგე მიწასთან სიახლოვე და აღმოჩნდა „ჰაერში“, მეათე სართულზე. სამაგიეროდ, ვიცი, რომ ჩემი კორპუსი სულ ორი წლისაა, ვიცი, რამდენბალიან მინისძვრას გაუძლებს, ვიცი, ვისი ამუშებულა და ისიც ვიცი, რომ მე და ჩემი სტუმრები მანქანას კომფორტულად დავაპარკინებთ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩემი ნებისმიერი ერთი დღე ჩემი ეზოს გარეშე არ გავა, იქ კი წყალიც და პურიც სხვანაირად გემრიელი მეჩვენება.

ამ წერილზე რომ ვემუშობდი, დავეუფლეთ forum.ge, სადაც გაცეცანი ახალგაზრდების მოსაზრებებს იტალიური ეზოებისა და ახალშენებული კორპუსების შესახებ. მათგან რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა:

**(Gemo)usaquri**: „ჩემი ოცნება მარტომ ვიცხოვრო იტალიურ ეზოში, ნაქირავებ, მალაქერიან ბნელ ოთახში, რომელსაც ერთი ფანჯარა ექნება და დიდი ნივთების კარადა, ძველებური მორყეული ავეჯითა და სქელი კედლებით.“

**Crazy member**: „იტალიური ეზო ხომ იცით რაცაა, მაგარი ბარდაგაა და თავისი მულაში აქვს“.

**Monchita**: „ისე მაგრად ასწორებს შენი ჭკუის და ხასიათის მეზობლები რომ გყავს, მაგას რა სჯობს, მაგრამ ქართულ რეალობაში იტალიურ ეზოში ცხოვრება კომპარი იქნებოდა ჩემთვის.“

ინტერნეტსივრცეში, აშკარად ფეისბუქში, წავანყდი კიდევ ერთ სინტერესო გვერდს სახელწოდებით „თბილისი იყო ურთიერთობა“. პირველი რამაც სასიამოვნოდ გამაკვირვა, იყო თვით ამ გვერდის სახელი და ის სურათები რომელიც ძველ თბილისს ასახავს.

დღეს, როდესაც ირგვლივ გაიხედავ, დაინახავ, როგორ იწონებენ თავს ახალშენებული კორპუსები – ზოგი თეთრი, ზოგი ნივთი, ზოგიც მწვანე. მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მათი გამრავლება კი უფრო და უფრო გვაშორებს იმ წარსულს, რომელიც ძველი თბილისის ეზოებშია.

მინდა ჩემს, ჩვენს თბილისში კვლავ დარჩეს „ძველი თბილისი“. მინდა, მისი ჩვეული თუ არაომატი კიდევ ბევრ წელსაღწას იგრძნობოდეს და მეტიც – მინდა „ძველმა თბილისმა“ საუკუნეებს გაუძლოს, მინდა საქართველო ილტვიდეს ევროპისკენ, მაგრამ არ მინდა, მას ედრობოდეს და მისი ფერებით იღებოდეს.

გვანცა სამხრამძე



## ძალი, როგორც ოთხი შვილის დედა, როგორც მზურნველი მეუღლე და როგორც დროში რეალიზებული რბოლი

მეორე სემესტრი იყო, როდესაც ერთ-ერთ ლექციაზე დაგვიანებით შემოვიდა ახალი სტუდენტი გოგონა, რომელსაც არ ვიცნობდი. პირველი, რაც თვალში მომხვდა, მისი გამოხედვა იყო, რომელიც ღიმილი მომგვარა, ჩემმა ერთმა ჯგუფელმა კი ჩამჩურჩულა:

– ის 23 წლისაა, სამი შვილი ჰყავს და მეოთხეს ელოდება, – რამაც სასიამოვნოდ გამაკვირა და დამაფიქრა კიდევ.

შინისაკენ მიმავალი ვაზუნყვეტილი მასზე ვფიქრობდი და სახლში მისვლისთანავე ფეისბუქის საძიებო გრაფაში ჩავხეივ: „სალომე პაპიძე“ და გამოჩნდა ის ჩემი ახალი თანაკურსელი ხელში ატატებული ბავშვით, აქეთ-იქიდან ბავშვებითა და გამოხედვით მუცელით.

ჩვენი პირველი საუბარი მეორე დღეს შედგა. გარდა იმისა, რომ კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, ძალიან გულლია ადამიანიც გამოდგა.

თავიდან წყვილს ცალკე ცხოვრება უნდოდა, მაგრამ პატარები იყვნენ და მეუღლის მშობლებთან დარჩენა აშკარაა. ახლა კი ან „ალარ უმეგენე“, ან თავად მიეჩია იქ ყოფნას და ნასვლაზე აღარც კი ფიქრობს. შვილების გაზრდაში ყველაზე დიდ როლს თავად ასრულებს. მეუღლე და მშობლებიც ემხარებიან, რა თქმა უნდა. პირველი ბავშვის დაბადება მეუღლემ „პეროვზე“ აღნიშნა, მესამეზე სამშობიარო ბლოკში მოუწია შესვლა და სალომეს მეოთხე შვილიც იქვე შეუკვთა, თანაც ტყუპები! მისი სამომავლო გეგმა რვა შვილი ყოფილა. ის გამოხედვით მუცელი, რომელმაც ღიმილი მომგვარა, მეოთხესი იყო.

ორსულობა ყველა ბავშვზე თავისებური ჰქონდა, პირველი და ბოლო მაინც ყველაზე განსაკუთრებული იყო. ტოქსიკოზი დამართა სუნზე და ბალიდან მოყვანილ ბავშვებს სასწრაფოდ აბაზანაში ვყრიდი მიყვება. სადილის მერე მეჩვენებოდა, რომ მაინც სუნი ჰქონდათ და... ერთი სიტყვით, დღემი რამდენჯერმე ვბანდი, სანყალ ბავშვებს, მგონი, ტყავი გავაძრეო.

შვილებიც მასავით განსაკუთრებული არიან: ერთმანეთის გარეშე საპირფარეოშიც არ შედიან, როგორც სალომე ამბობს, დაირაზმებიან და ისე შედიან.

აქტური დღის შემდეგ ბავშვებს რომ, დახვნეს, მეცადინეობას, დღით კი ძალიან ადრე დგება ბავშვებისა და მეუღლის დასაპურებლად, შემდეგ პატარები, უფრო სწორად – დიდები, ბაღში მიჰყავს, თვითონ კი ლექციებზე მიდის.

იმ პირველი საუბრის შემდეგ ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მაშინვე ვუამბე სალომე პაპიძის შესახებ. ფიქრებით კი მუდამ მასთან ვიყავი. საიდან ჰქონდა ჩემი ასაკის გოგონს ამხელა მოთმინება! როგორ იტყვდა ამხელა სიყვარული, სინარული, ამდენ ენთუზიაზმს! წელ-წელა გაკვირვება სინარულს უთმობდა ადგილს, სინარულს იმის გამო, რომ ჩვენს შორის არსებობს ერთი სალომე პაპიძე, რომელიც უკიდევანოდ საინტერესო პიროვნებად გვევლინება.

არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ სალომე პაპიძე ტრადიციული ოჯახიდან მოდის. დაიბადა და გაიზარდა თბილისში. დედა სამ შვილს თითქმის მარტო ზრდიდა. ეტაპობრივად დადიოდნენ ბაღში, სკოლაში და სხვადასხვა ნრეებზე. მისთვის ყველაზე ილბლიანი მუსიკის წრე აღმოჩნდა, სადაც გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ირაკლი ნაჭყებია. გაცნობიდან ერთი წლის შემდეგ გაიპარნენ. 17 წლისა იყო.

– ძალიან უცბად მოხდა. 8 ნოემბერს დამირეკა და უნდა გავიპაროთო. მეც ავდექი და გავიპარი სახლიდან. ლექცია ნაგვიკითხეს. ირაკლი მაშინ თექვსმეტისა იყო. დედაჩემი შემეცოდა და მშობლებს უკან წამოვყავი.

ათ დღეში კი სალომემ იგივე ნაბიჯი გადადგა, რასაც მშობლების განრისხება და უკვე სამართალდამცავების ჩარევა მოჰყვა. მაგრამ სალომეს გადაწყვეტილება აღარ შეუცვალა.

არასოდეს უფიქრია ამ ასაკში ოთხი შვილის გაჩენა, მაგრამ ეს მისი მეუღლის ღრმა მორწმუნეობამ განაპირობა, რაშიც საქართველოს სიყვარულია ჩადებული. სალომეს მთავარი მიზანი და ამოცანა ღირსეული შვილების გაზრდაა. დროის უმეტესს ნაწილს შვილებს უთმობს, მათთან საუბარსა და იმის მოსმენას, თუ რა ისწავლეს დღეს ბაღში.

– ძალიან შევეჩვიე იმ აზრს, რომ დაღლა არ უნდა არსებობდეს ჩემთვის, სულ ამათ ვუთმობ ყურადღებას, მართალია, თავისთვის თამაშობენ ხოლმე, მაგრამ ამ დროსაც უნდათ ყურადღება, სხვათაშორის ზუსტად ასეთ დროს ვგებულობ ხოლმე, რაზე ფიქრობენ და რას სწავლობენ ბაღში სხვა ბავშვებისგან. ერთხელ შუათანამ სასწაული ლექსი მოიტანა, ვილაც აღუქსიმ მასწავლაო, უფროსს ეუბნებდა და ჩამოარაკაკა გართიშული გინება. მერე აუხსენით მე და მამამისმა, რომ ცუდი სიტყვების

თქმა არ შეიძლება და მეტჯერ აღარ უნდა გაიმეორონ, სხვათა შორის, მიჯვრებენ.

მამის როლიც დიდია მათ ჩამოყალიბებაში, იგი თითქმის ყოველ საღამოს ასეირნებს ბავშვებს და მხოლოდ მამას რომ შეუძლია, ისეთ შენიშვნებსა და მითითებებს აძლევს.

როგორც ყველას, სალომესაც ჰქონდა სირთულეები გარკვეულ ეტაპებზე, მაგრამ სირთულეებისთვის თავი არ დაუხრია და წუთით არ დაუშვია, მისი და მისი მეუღლის სიყვარულში რაიმე ბზარი გაჩენილიყო. მისთვის ოჯახური ურთიერთობები ძალიან ძვირფასია. რასაკვირველია, არის წყენააც, გაუგებრობაც, რომელიც ხან ყურადღებულად და ხანაც – არა. როგორც თვითონ ამბობს, მოთმენა უნდა ბევრ რამეს და თავის ხელში აყვანა.

ისიც აღსანიშნავია, რომ იგი კარგი სტუდენტი და ძველი „ობობელია“. იმის მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში გამოუძინებელია, ყოველთვის მოწესრიგებულად გამოიყურება და ფიქრობს, რომ ქალი მუდამ ფორმაში უნდა იყოს, მეტიც – ქალი ვალდებულია, საკუთარი თავის რეალიზაცია სრულად მოახდინოს.

სალომე სულაც არ ფიქრობს, რომ განსაკუთრებულია. მე კი მგონია, რომ ჩვენს დროში იშვიათი შემთხვევაა, გყავდეს ოთხი შვილი, იყო 23 წლის და დროს ისე ანაწილებდე, ყველაფერს ასრულებდე. სალომე! არისქალი, რომელიც უფლის შვილებს, ქმარს, არის კარგი ცოლი, კარგი დედა და, ამავდროულად, არის კარგი სტუდენტი, რომელიც ახერხებს, არ ჩამორჩეს დროს.

...და სადაა ადამიანური ბედნიერების გასაღები? იქნებ ასეთ დედებშია საქებნელი? ჩვენ კი სად ვეძებთ და რა დინებას მივუყვებით?

P. S. სალომე უკვე ოთხი შვილის დედაა. მე კი სულ ახლახან გამიჩნდა პირველი. სალომეზე რომ ვწერდი, დედობის მოლოდინში ვიყავი და განსაკუთრებული ემოციით აღვიქვამდი მის ყოველ სიტყვას. საოცარი! ახლა მეც დედა ვარ, ჩემი და ჩემი მეუღლის სიყვარულის ნაყოფი უკვე სამი თვისაა. ერთი სული მაქვს, როდის მოვისმენ მისგან ყველაზე სათუთ და სანატრულ სიტყვას: „დედა“.

გვანცა სამხრამძე

P. P. S. ეს სურათები რომ გადავიღე, სალომე ჯერ „მხოლოდ“ სამი შვილის დედა იყო...

ავტორის ფოტოები